კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

იოსებ მანჯავიძე

კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებები და თანამედროვე მსოფლიო

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

ქეთევან შოშიაშვილი- ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ედიშერ გვენეტაძე- ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის, 22 იანვარს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **პეტრე მამრაძე.**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა: თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში, როდესაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, ხოლო ტრადიციული სახელმწიფოების გვერდით გაჩნდნენ ისეთი არასახელმწიფო აქტორები, როგორებიც არიან ტრანსნაციონალური კომპანიები და ბანკები, გლობალური მედია და სოციალური ქსელები- ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად ადექვატურია თანამედროვე მსოფლიო პროცესების აღწერა კლასიკური გეოპოლიტიკის ცნებებით და რამდენად ხელმძღვანელობენ სახელმწიფოები გეოპოლიტიკურ სკოლებში დამუშავებული სტრატეგიებით.

გეოპოლიტიკის არსი ძირითადად არის სივრცის მართვა და კონტროლი, ცხადია, დღეს სივრცის კონტროლი დივერსიფიცირებულია ტექნოლოგიების განვითარებისა და მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების გამო.

(კერძოდ, ის აღარ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის ჩარჩოებში) ამის გამო სივრცის კონტროლი იღებს სრულიად ახალ, ტრანსნაციონალურ და კონცეპტუალურ მართვის ფორმებს, მაგალითად, ფინანსურ-ეკონომიკური, ინფორმაციული ან შერეული კონტროლის და მართვის სახეს, რასაც ხელს უწყობს ცივილიზაციის მიერ სივრცის ახალი, ციფრულ-ვირტუალური და კოსმოსური განზომილების ათვისების პროცესი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სტრატეგიები, რომლებიც ბოლო 150 წლის განმავლობაში იქნა დამუშავებული კლასიკური გეოპოლიტიკის სკოლების მიერ, კვლავ აქტუალურია. არ იცვლება სახელმწიფოთა მიერ კლასიკური გეოპოლიტიკის მიერ დამუშავებული სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკა.

ჩვენს კვლევაში ვაჩვენეთ, რომ ჰელფორდ მაკინდერის, ალფრედ მეჰენის, ნიკოლას სფაიქმენის და სხვათა მიერ შემუშავებული გეოპოლიტიკური სქემების მიხედვით უზარმაზარი ადამიანური და ფინანსური სახსრები წარიმართება, რომ პრინციპები არ იცვლება, არამედ ხდება მათი ტექნოლოგიური დახვეწა და ადაპტაცია თანამედროვე რეალიებთან. ეს კი დაგვეხმარება შევიმუშავოთ უფრო ადექვატური ორიენტირები გეოპოლიტიკურ პერიპეტიებში გასარკვევად, რასაც არამარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სწორი გეოპოლიტიკური პოზიციონირებისათვის. ამასთანავე ჩვენს მიერ შემუშავებულია მთელი რიგი ახალი ხედვებისა, რომლებიც წარმოადგენენ მეცნიერულ სიახლეს და ჩვენი აზრით, შეიცავენ პრაქტიკული გამოყენების პოტენციალს.

ალბათ არასოდეს ყოფილა კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებები ისეთი აქტუალური, როგორიც ის დღესაა. ჩვენი საზოგადოებისთვის საკმაოდ უცხო და ერთი შეხედვით, უცნაური ტერმინები, როგორიცაა ჰარტლენდი და რიმლენდი, ტელუროკრატია და თალასოკრატია, ზღვისა და ხმელეთის ცივილიზაცია და განუწყვეტელი ბრძოლა მათ შორის, ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ჰელფორდ მაკინდერი, ალფრედ, მეჰენი, ფრიდრიხ რატცელი, კარლ ჰაუსჰოფერი, ზბიგნევ ბზეჟინსკი თუ ჟან პარვულესკუ-ერთგვარ ტერრა ინკოგნიტოდ რჩება დღემდე სათანადო ლიტერატურის ნაკლებობისა და საზოგადოებრივ დისკურსში ცალმხრივი იდეოლოგიური მიდგომების პრევალირების გამო.

კლასიკური გეოპოლიტიკის ფუნდამენტური დებულებების გაცნობიერების გარეშე დღეს მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების გაგება და სწორი გეოპოლიტიკური პოზიციონირება შეუძლებელია.

რატომ დაიწყო უკრაინის ომი?

რატომ მიმდინარეობს პოლონეთის მილიტარიზაცია და ესკალაცია ბელორუსთან?

რატომ ააფეთქეს ჩრდილოეთის ნაკადი?

რატომ ცდილობენ სამხრეთის ნაკადების აფეთქებას?

რატომ მიიჩნევა გარდაუვლად ჩინეთისა და აშშ-ს ომი?

რატომ შეიქმნა ,,აუკუს''ი და რატომ მიმდინარეობს რუსულ-ჩინური დაახლოება?

რატომ მიმდინარეობს ესკალაცია ტაივანის გარშემო?

რატომ გახდა ისლამური ტერორიზმის პრობლემა არააქტუალური და რატომ დატოვა აშშ-მ ავღანეთი, ტოვებს სირიას და ერაყს?

რატომ ცდილობენ საქართველოს აქტუალიზაციას უკრაინის ომთან მიმართებაში და რატომ არის ასეთი ისტერიული რეაქცია მაგალითად, ფრენების აღდგენაზე?

რატომ ,,დამთავრდა'' კოვიდ 19-ის პანდემია 24 თებერვლიდან, როდესაც პუტინმა ,,სპეციალური სამხედრო ოპერაციის'' დაწყების შესახებ გამოაცხადა?

ისეთი ცნებების ცოდნის გარეშე, როგორიცაა ,,სანიტარული კორდონი'', რომლის ფუნქციის პატივი დღეს საქართველოსაც ერგო, ,,ანაკონდას რკალი'', რომელიც გულისხმობს ევრაზიის სახელმწიფოების მოგუდვას და მათ შეკეტვას კონტინენტურ სიღრმეებში, მოსკოვი-ბერლინი, მოსკოვი-თეირანი, მოსკოვი-პეკინის ვექტორები და ევრაზიული ინტეგრაცია - სრულიად შეუძლებელია გავიგოთ და ადექვატური შეფასება მივცეთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა სახის პროცესებს

საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციებს შორის განუწყვეტელი ბრძოლის კანონზომიერები ჯერ კიდევ 20-ე საუკუნის დასაწყისში შენიშნა და თეორიულად განაზოგადა ბრიტანელმა გეოგრაფმა და სამხედრომ ჰელფორდ მაკინდერმა, რომელმაც დაადგინა, რომ არსებობს ზღვის ცივილიზაცია, სადაც ბირთვი ანგლო-საქსური სამყაროა (აშშ, ინგლისი და ა.შ.), დომინანტური იდეოლოგია ლიბერალიზმია, პოლიტიკური სისტემა საპარლამენტო დემოკრატია, ეკონომიკური მოდელი კი კაპიტალიზმი; და მიწის ცივილიზაცია, რომლის პოლუსი რუსეთ-ევრაზიაა, უპირატესი იდეოლოგიაა კონსერვატიზმი და ტრადიციონალიზმი, პოლიტიკური სისტემა არის ავტორიტარიზმი (ან მართვადი დემოკრატია), ხოლო ეკონომიკური მოდელი არის ეტატიზმი (თანამედროვე რუსეთი) ან სოციალიზმი (თანამედროვე ჩინეთი).

ეს თეორია სრულად დადასტურდა საბჭოთა პერიოდში (სოციალისტური ბანაკი სსრკ-ს ბირთვით - მიწა, კაპიტალისტური სამყაროს დაპირისპირება - ზღვა, ნატო) და განსაკუთრებით ცივი ომის ეპოქაში.

ზღვამ დაამარცხა მიწა, შემდეგ კი - უკვე პუტინისა და სი ძინპინის ეპოქაში- მიწამ კვლავ დაიწყო პოზიციების აღდგენა. აღმოსავლეთ ევრაზიაში დაიწყო გლობალური ძალის კონცენტრაცია და ,, ჰარტლენდის'' მფლობელი რუსეთი ,,ძალის სესხებას'' ჩინეთისგან ახდენს, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოთა კავშირი და ,,ხმელეთის ცივილიზაციის'' პოლუსად პოზიციონირებს.

აქედან გამომდინარე, ,,სანიტარული კორდონის '' მნიშვნელობა გაფართოვდა და მან მოიცვა მთელი აზია -წყნარი ოკეანის რეგიონიც.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მოხდა ატლანტიკური გეოპოლიტიკური სტრატეგიის (ზღვის) მიზანმიმართული განხორციელება. 1991 წლის შემდეგ მიწა მცირდება (ვარშავის პაქტის დაშლა, სსრკ-ს დაშლა, თავად რუსეთის დაშლის პროცესის დაწყება, რომელიც გამოიკვეთა 90-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნები გაწევრიანება ნატოში. დსთ-ს რამდენიმე ქვეყანა - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა - გაწევრიანებისთვის ემზადება). იქმნება ,,სანიტარული კორდონი;; პროექტი ,,ახალი რეჩ პოსპოლიტა''

ანუ ბუფერული ზონის შექმნა რუსეთ-ევრაზიასა (მიწა) და დასავლეთ ევროპას შორის (სადაც გერმანიისა და საფრანგეთის გაერთიანება პოტენციურად ევროპული კონტინენტალიზმია, ანუ ევროპული. ჰარტლენდი) წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებით და სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკებით (ბალტიისპირეთის ქვეყნები).

„სანიტარული კორდონის " მიზანია ხელი შეუშალოს რუსეთის და ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორობას ევროპასთან (ანუ დიდი ევროპა ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე, რომელიც პუტინმა გამოაცხადა). ბჟეზინსკიმ (დიდი საჭადრაკო დაფა) ღიად თქვა, რომ "სანიტარული კორდონის " მთავარი როლი უკრაინას ეკუთვნის: ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ატლანტისტური ექსპანსიის ფორპოსტად გადაქცევა, რისი წარმატებული განხორციელებასაც ყველანი ვხედავთ.

იგივე კონტექსტშია განსახილველი დასავლეთის პოლიტიკა ირანის მიმართ, რომელივ ევრაზიული ალიანსის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წევრია.

ეს არასრული აღწერა მოვლენებისა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ნათელი გაგვეხადა ჩვენი თემის აქტუალურობა.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ **სტრატეგიები, რომლებიც დამუშავებულ იქნენ კლასიკური გეოპოლიტიკის ფუძემდებლების მიერ და რომლებიც ასახავდნენ მათი თანამედროვე იმპერიების მოქმედებათა ალგორითმებს, ძირითადად არ იცვლება, რადგანაც არ შეცვლილან გეოპოლიტიკური სუბიექტები, მათი ინტერესები და გეოგრაფიული გარემო. ამავე დროს მსოფლიო დომინირებისთვის ბრძოლას ახლებური ხასიათი მისცა ახალმა, ციფრული განზომილების ათვისებამ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, გლობალური საბანკო-საფინანსო სისტემის, მედიის და სოციალური ქსელების ჩამოყალიბებამ, თუმცა მათ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებთან მიმართებაში ცვლადი, იერარქიულად დაქვემდებარებული ადგილი ენიჭებათ.**

პასუხი გაეცა საკვლევ კითხვებს.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებები და მათი კრიტიკული ანალიზი. წარმოდგენილი იქნა კლასიკური გეოპოლიტიკის ახლებური ხედვები და აშშ-ს, როგორც გეოპოლიტიკური ფენომენის თავისებურება კლასიკური გეოპოლიტიკის ჩვენს მიერ შემუშავებული ახლებური ხედვების ჭრილში.

მეორე თავი მიეძღვნა ციფრული ტექნოლოგიების მიმართებას კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებებთან, ზღვისა და ხმელეთის დიქოტომიას და კიბერგეოპოლიტიკას, ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს, მათი წარმოშობის ისტორიას და როლს თანამედროვე გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. ამავე ასპექტშია განხილული გლობალური ფინანსური სისტემისა და გეოპოლიტიკური დიქოტომიის ურთიერთდამოკიდებულება.

მესამე თავში განვიხილეთ საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის კანონზომიერებები, საქართველოს სახელმწიფოს ისტორიასთან მიმართებაში, კავკასიის გეოგრაფიული თავისებურებები, რეგიონალური სახელმწიფოების გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნები და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია სწორი გეოპოლიტიკური პოზიციონირების გარეშე.

სწორედ ეს განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას, და კვლევის მიზნების და ამოცანების სპეციფიკას.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზნებია დავასაბუთოთ, რომ:

1) ჰ. მაკინდერის, ა. მეჰენის, ნ. სფაიქმენის ან რომელიმე სხვა ქვეყნის გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული

გეოპოლიტიკური სქემები ერთის მხრივ ასახავენ, ხოლო მეორეს მხრივ, არიან რა მიღებულნი, როგორც სახელმძღვანელი დოქტრინები, უშუალოდ ზემოქმედებენ და განსაზღვრავენ სახელმწიფოთა პოლიტიკას, რომ პრინციპები არ იცვლება, არამედ ხდება მათი ტექნოლოგიური დახვეწა და ადაპტაცია თანამედროვე რეალიებთან.

2) თანამედროვე გლობალური პოლიტიკის შინაარსი არ დაიყვანება მხოლოდ ტრადიციული მოთამაშეების დომინირებისთვის ბრძოლაზე, რომ ახალი, გლობალური არასახელწიფოებრივი აქტორები უდიდეს გავლენას ახდენენ მსოფლიოზე და ცდილობენ რა, გამოიყენონ ტრადიციულ აქტორებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი ინსტიქტური მიდრეკილება დომინირებისადმი, თვითონ გაბატონდნენ მსოფლიოზე, რისთვისაც შექმნილი აქვთ სათანადო ინსტიტუციები და იდეოლოგია;

3) ჩამოყალიბდა გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების მოდერნიზებული ფორმები, რომელთა მიმართაც საჭიროა ადექვატური მიდგომების შემუშავება.

კვლევის მიზნების შესრულება დაგვეხმარება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში:

1) პოლიტიკური პროცესების ისტორიულ ჭრილში კვლევა დაგვეხმარება დავინახოთ მათი გენეზისი და მოქმედების კანონზომიერები. ეს კი ერთადერთი გზაა გეოპოლიტიკურ პერიპეტიებში გასარკვევად, რასაც არამარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სწორი გეოპოლიტიკური პოზიციონირებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ მიზნის მიღწევას ხელს არ უწყობს აკვიატებული სიმპათია-ანტიპათიები ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მოთამაშის მიმართ, რომელიც დამახასიათებელია იმ ერებისთვის, რომლებიც ვერ გამოვიდნენ სახელმწიფოებრივი ცნობიერების ინფანტილური მდგომარეობიდან, რისი დაძლევის აუცილებლობაც თვალსაჩინოა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის.

2) კვლევის ამოცანას ასევე წარმოადგენს გავიგოთ ახალი გლობალური მოთამაშეების როლი და გავლენა, რაც ხელს შეუწყობს სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიციონირების შესახებ ამ ახალი ვითარების გათვალისწინებით. პარადიგმის ცვლისა და მასთან თანმდევი არასტაბილურობის ფონზე ასეთი პოზიციონირება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

კვლევის საგანი და ობიექტი

სადისერტაციო ნაშრომის საგანია კლასიკური გეოპოლიტიკური კანონზომიერებები და მათი ახლებური ინტერპრეტაცია ჩვენს მიერ.
სადისერტაციო ნაშრომის ობიექტია თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობის სხვადასხვა ასპექტების მიმართება კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებებთან.

თემის მეცნიერული სიახლე

თემის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სხვადასხვა გეოპოლიტიკურ მოძღვრებათა სუბიექტურობის გამოვლინების საფუძველზე ობიექტური მეცნიერული კანონზომიერებების გამოვლენის მცდელობაში, რისთვისაც გაანალიზებული იქნა ბოლო 150 წლის განმავლობაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები და მათი გენეზისი, დადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, მაგალითად, ჯერ კიდევ 19-ე საუკუნის ბოლოს შემუშავებულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიებსა და ძალის ცენტრების მოქმედებებს შორის, ასევე ამ მოქმედებების გავლენის შესახებ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ნაშრომში განხილული იქნა ლ. ჩელენის, ჰ. მაკინდერის, ვ.ბლანშის, ა. მეჰენის, ჯ.სფაიქმენის ფ.რატცელის, ჰ. კისინჯერის, ზ. ბჟეზინსკის, ა. დუგინის, სუნ-ძის და სხვათა შრომები.

პირველად არის წარმოდგენილი ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი გეოპოლიტიკური რუკა, რომლიც ეყრდნობა რა ჰელფორდ მაკინდერის მემკვიდრეობას, ჩვენის აზრით, უფრო კორექტულად ასახავს რეალობას;

პირველად იქნა შემოთავაზებული ახალი დეფინიცია სახელმწიფოს პოტენციური სიმძლავრის განსაზღვრებისათვის;

პირველად არის განხილული ფუნდამენტალური დუალიზმისა და ადამიანის ფსიქოლოგიის მიმართება;

ასევე პირველადაა შემოტანილი ბალანსი-მდგომარეობის კატეგორიები. რაც შეიძლება იყოს ლოკალური და გლობალური. კვლევა ეხება გლობალურ ბალანს-მდგომარეობას, რომელიც თავის მხრივ არის სამ ფაზაში: ცვლადი, მყარი და ქაოსური;

გამოტანილია დასკვნა, რომ გეოპოლიტიკაში მსოფლიოს ყველა სუბიექტის ძალის ვექტორი, განურჩევლად მათი ძალის, სიდიდის და მიმართულებისა, გლობალური პროცესების აპოგეის დროს დაიყვანება ორ საპირისპირო ჯამურ ძალაზე. მისი საფუძველია ძირეული სახმელეთო და საზღვაო ურთიერთდაპირისპირებული ძალები;

განხილულია ციფრული ერის მიმართება კლასიკური გეოპოლიტიკის კანონებთან;

შემოვიტანეთ ახალი ტერმინი ,,მეტაგეოპოლიტიკა'', რომელიც ჩვენი აზრით, უკეთ გამოხატავს რეალობას, ვიდრე ტერმინი ,,კიბერგეოპოლიტიკა'';

განხილულია საზღვაო ცივილიზაციის მიერ ციფრული ტექნოლოგიების ე.წ. ი ,,ვეპენიზაციის," ანუ იარაღად გამოყენების საკითხები, ამ მოვლენის კავშირი საზღვაო ცივილიზაციის თავისებურებებთან;

წამოყენებულია ჰიპოთეზა აშშ-ს ორმაგი გეოპოლიტიკური ბუნების შესახებ;

განხილულია საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის საფუძვლები და ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური თავისებურებები.

შემოვიტანეთ საქართველოს გეოპოლიტიკის ძალისხმევის ვექტორების ცნება.

ასევე გვაქვს მცდელობა დადგინდეს როგორც თანამედროვე სახელმწიფოებისა და სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების მოქმედებათა (ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების პოლიტიკა, რუსეთის მისწრაფება გავლენის სფეროების აღდგენისაკენ, ჩინური გლობალიზმი და სხვ.) ისე საკუთრივ გეოპოლიტიკური სკოლების მიერ შემუშავებული სტრატეგიების მემკვიდრეობითი ხასიათი. განხილულია მათი სუბიექტურობა ძალის ცენტრებისადმი კუთვნილების მიხედვით, საიდანაც გამომდინარეობს მიუკერძოებელი განხილვის აუცილებლობა ობიექტურთან შედარებით მიახლოებული სურათის შექმნის მიზნით.

თემის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის დინამიკის განხილვა არამარტო ტრადიციული აქტორების მოქმედებათა ჭრილში, არამედ ახალი გლობალური არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების რაობის, მისი მიზნებისა და გავლენის შესახებ მსოფლიოს და შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ბედზე.

საკვლევი კითხვა/კითხვები

1. როგორია კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითადი დებულებები და რამდენად რელევანტურნი არიან ისინი დღევანდელ გლობალურ სამყაროში?

2. რა მიმართებები არსებობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებებს შორის?
3. როგორ ვლინდება გეოპოლიტიკური კანონები ცალკეული ქვეყნების მაგალითზე?

4.რა როლს თამაშობენ თანამედროვე გეოპოლიტიკურ პროცესებში გლობალური მედია და სოციალური ქსელები?

5.როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა გეოპოლიტიკასა და გლობალურ საფინანსო სისტემას შორის?

6.როგორია საქართველოს გეოპოლიტიკური კოდი?

ჰიპოთეზა

გეოპოლიტიკის არსი ძირითადად არის სივრცის მართვა და კონტროლი, ცხადია, დღეს სივრცის კონტროლი დივერსიფიცირებულია ტექნოლოგიების განვითარებისა და მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების გამო. (კერძოდ, ის აღარ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის ჩარჩოებში) ამის გამო სივრცის კონტროლი იღებს სრულიად ახალ, ტრანსნაციონალურ და კონცეპტუალური მართვის ფორმებს, მაგალითად, ფინანსურ-ეკონომიკური, ინფორმაციული ან შერეული კონტროლის და მართვის სახეს. ჩვენი ნაშრომის ჰიპოთეზაა, რომ **სტრატეგიები, რომლებიც დამუშავებულ იქნენ კლასიკური გეოპოლიტიკის ფუძემდებლების მიერ და რომლებიც ასახავდნენ მათი თანამედროვე იმპერიების მოქმედებათა ალგორითმებს, ძირითადად არ იცვლება, რადგანაც არ შეცვლილან გეოპოლიტიკური სუბიექტები, მათი ინტერესები და გეოგრაფიული გარემო. ამავე დროს მსოფლიო დომინირებისთვის ბრძოლას ახლებური ხასიათი მისცა ახალმა, ციფრული განზომილების ათვისებამ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, გლობალური საბანკო-საფინანსო სისტემის, მედიის და სოციალური ქსელების ჩამოყალიბებამ, თუმცა მათ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებთან მიმართებაში ცვლადი, იერარქიულად დაქვემდებარებული ადგილი ენიჭებათ.**

კვლევის თეორიული ბაზა

ნაშრომში განხილული და კრიტიკულად გაანალიზებულია გეოპოლიტიკური მეცნიერების 150 წლიანი ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბებული თეორიები. კერძოდ, ჰელფორდ მაკინდერის, ალფრედ ტაიერ მეგჰენის, ფრიდრიხ რატცელის, ლუდვიგ ჩელენის, კარლ ჰაუსჰოფერის, ნიკოლას სფაიქმენის, კარლ შმიტის, არილდ ტოინბის, სამუელ ჰანტინგტონის, ფრენსის ფუკუიამას, ალექსანდრე დუგინის, ჰენრი კისინჯერის, ზბიგნევ ბზეჟინსკის სხვა გეოპოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების კონცეფციები და თეორიები. შევეცადეთ გვეჩვენებინა გეოპოლიტიკური მეცნიერების სუბიექტურობა მათი სკოლების სახმელეთო და საზღვაო ცივილიზაციებთან კუთვნილების მიხედვით და შევიმუშავეთ ახლებური ხედვები ამ სუბიექტურობის დაძლევისა და ობიექტური კანონზომიერებების გამოვლენის მიზნით.

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო-თეორიული მიმართულებების სპეციალურ კონცეფციებზე აგებული სხვადასხვა სახის მიდგომები. დამუშავებელი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებელია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლების სამეცნიერო პარადიგმები, რომლებიც ეხმიანებიან გეოპოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში. სადისერტაციო კვლევის მეთოდოლიგიური საფუძვლები ძალიან ფართო და საკმაოდ ტევადია, ამიტომაც, განვახორციელეთ თითოეული ამ მიმართულების კონცეფციების მიმოხილვა და ანალიზი.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდები ძირითადად ეფუძნება კვლევის საფუძვლებს, რაც მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ იარაღს - ლოგიკა, ანუ სწორად აზროვნების სისტემა, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების

საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე. კვლევა ეფუძნება თვისობრივ მეთოდს, რომელშიც მოიაზრება:

- მონაცემთა ანალიზი;
- ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი.
- ისტორიულ-აღწერილობითი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ- ანალიზი;
- ივენტ-ანალიზი.

კვლევის პროცესში შემთხვევის გარჩევა Case study-დაგვეხმარა რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.

- „SWOT Analys"-ის მეთოდის საშუალებით უკეთ წარმოვაჩინეთ გეოპოლიტიკური კანონზომიერებების აქტორების ძლიერი და სუსტი მხარეების რაობა და განვსაზღვრეთ მისი როლი და ადგილი მსოფლიო პროცესებში.

კვლევის მეთოდის მნიშვნელოვანი ნაწილია მოვლენათა ე.წ. „პარალელური" ანალიზი, რომელიც შეფასებათა საინტერესო სპექტრს იძლევა. იგი გულისხმობს ექსპერტთა ფოკუს ჯგუფების მოწყობას. ასეთი ფოკუს ჯგუფები შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი და ინდივიდუალური. ეს მეთოდი მოვლენების მრვალამხრივი შეფასების საშუალებას იძლევა და სიტუაციური ანალიზისთვის საუკეთესო საფუძველს

საერთო ჯამში, უკვე შერჩეული პოლიტიკური კვლევების მეთოდი მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს:

1) ინფორმაციის მოპოვება
2) მოვლენათა კლასიფიკაცია
3) სიტუაციური ანალიზი
4) ისტორიული ანალიზი

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური სურათის მისაღწევად საჭიროა „შედარებითი" მეთოდის გამოყენება, რომელიც სიტუაციური ანალიზის ერთ-

ერთი შემადგენელი ნაწილია. „შედარებითი“ მეთოდის არსი მდგომარეობს მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიურ ანალიზში, რომელიც მოვლენების შედარებას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეფექტიანია რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას და ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მოვლენის მონაწილეთა ინტერესების შესწავლისას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას მაქსიმალურად გამოვიყენეთ ყველა ის წყარო, რომელსაც შეხება აქვს თემასთან და აკმაყოფილებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

- კომპეტენტურობა
- ინფორმატიულობა
- ორიგინალური ხედვა
- სიღრმისეული ხედვა
- ხედვების მასტაბურობა

  გასათვალიწინებელია, რომ წყაროთა ნაწილი საკუთრივ გეოპოლიტიკისა და გეოგრაფიული დეტერმინიზმის ჩამოყალიბების პერიოდის ლიტერატურული წყაროებია (ჰელფორდ მაკინდერი, ფრიდრიხ რატცელი, ალფრედ მეჰენი, რუდოლფ ჩელენი, კარლ ჰაუსჰოფერი) შემდეგი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი გეოპოლიტიკოსები და მოაზროვნეები არიან (პოსიბილისტური სკოლა, ზბიგნევ ბზეჟინსკი, ჰენრი კისინჯერი, ალექსანდრე დუგინი), ხოლო მესამე -

  პოსტ-მოდერნისტული გეოპოლიტიკისა და ციფრული ერის მეცნიერების მიერ შექმნილი ნაშრომები გახლავთ.

  ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად დავინახოთ მოვლენების გენეზისი და გავერკვიოთ მიმდინარე პროცესებში.

1. **მაკინდერი ჰელფორდ,,** ,, ისტორიის გეოგრაფიული ღერძი''[1] ითვლება ტრადიციული გეოპოლიტიკის ერთ-ერთ მამად, შექმნა მსოფლიო გეოპოლიტიკური რუკა, დაამკვიდრა საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციების დაპირისპირების, როგორც ისტორიის მთავარი მამოძრავებელი დიქოტომიის თეორია. რომელიც აქტუალურია დღესაც. ეყრდნობოდა ფრიდრიხ რატცელის გეოგრაფიულ დეტერმინიზმს.

2. **რატცელი ფრიდრიხ., ,,დედამიწა და სიცოცხლე''.**

გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის ავტორი, შემოიღო ტერმინი lebensraum-სასიცოცხლო სივრცე, ითვლება გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებლად.

3 **მეჰენი ალფრედ ტაიერ,. ,,ამერიკის ინტერესი საზღვაო ძლევემოსილებაში''.** ამერიკელი მოაზროვნე, კონტრ-ადმირალი, აშშ-ს როგორც საზღვაო იმპერიის დოქტრინის ავტორი, შემოიღო ტერმინი „ანაკონდას ყულფი'', რომლითაც ხშირად ოპერირებენ დღესაც.

4. **ჰაუსჰოფერი,.კარლ., ,,საზღვრები მათ გეოგრაფიული პოლიტიკურ მნიშვნელობაში''**[2].

***Haushofer Carl, Grenzen in ihrer geographischen und politischen Bedeutung*, Heidelberg; Berlin; 1939**

გერმანელი გეოპოლიტიკოსი, მთელი რიგი ახალი სამეცნიერო ტერმინების ავტორი, ითვლებოდა მესამე რაიხის იდეოლოგად, რასაც ის უარყოფდა.

5. **ჰანტინგტონი, სამუელ., ,,ცივილიზაციების შეჯახება?''**

ჰანტინგტონის აზრით, ახალ ეპოქაში, ანუ პოსტ-ბიპოლარულ სამყაროში, კონფლიქტების მთავარი წყარო იდეოლოგიური თუ ეკონომიკური ხასიათისა აღარ იქნება, არამედ მათ განაპირობებს კულტურულ-ცივილიზაციური განსხვავებები.

6.ტროი, ს. თომასი., და კრებსერი უილიამ., ,,ძალადობრივი სისტემები: ტერორისტების, აჯანყებულების და სხვა არასახელმწიფო მოწინააღმდეგეების დამარცხება.[3] - ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი იმ პროცესების ანალიზი, რომელიც განვითარდა 9/11 ტრაგიკული მოვლენის შედეგად, რამდენად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკის დინამიკა და გახდა უფრო მეტად აქტუალური ახალი განზომილების ე.წ. „აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების“ ფაქტორი ამ პროცესებში.

7. **სპაიკმენ, ნიკოლას., ,,მშვიდობის გეოგრაფია,''**

ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა ნიკოლას სპაიქმენმა მოახდინა ჰელფორდ მაკინდერის გეოპოლიტიკური რუკის ხელახალი გააზრება და მისი მორგება შეერთებული შტატების ინტერესებთან.

8. ალექსანდრე დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები[4]

Дугин, Александр., ,,<u>Основы геополитики''</u> Москва, 1997.

1993 თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენელი, ცდილობს კომპლექსურად გაიაზროს გაიაზროს გეოპოლიტიკური სკოლების მემკვიდრეობა.

9. **ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I**[5]

დიდ ქართველ ისტორიკოსს თავის ნაშრომში დეტალურად აქვს განხილული გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც საქართველოს ორიენტაციას განაპირობებდა.

10.ჩხეიძე, ა., ,,ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში.[6]

ნაშრომში გაშუქებულია 19-ე საუკუნის ბრიტანეთის იმპერიის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკა, მისი გეგმები საქართველოს და ჩერქეზეთის მიმართ ყირიმის ომის დროს.

11. ჩელენი, რუდოლფ,. (1864-1922) შვედი მეცნიერი ტერმინ ,, გეოპოლიტიკის'' ავტორი. ,,სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა''[7]

შვედი მეცნიერი, ტერმინ ,,გეოპოლიტიკის'' ავტორი. ,,სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა'' მისი ფუნდამენტური ნაშრომია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა გეოპოლიტიკური აზრის განვითარებაზე.

12. კისინჯერი, ჰენრი, ,, დიპლომატია'' [8]

ამერიკული დიპლომატიის ვეტერანი, რომლის ნაშრომებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ დიდი გავლენა მოახდინეს თანამედროვე გეოპოლიტიკური არქიტექტურის ჩამოყალიბებაზე.

13. შმიტი, კარლ., ,,პლანეტარული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის-ზღვისა და ხმელეთის დაპირისპირება'.[9]

კარლ შმიტი სიღრმისეულად განიხილავდა დასავლური ცივილიზაციის გენეზისს და მის პერსპექტივებს, ზღვისა და ხმელეთის ცივილიზაციების დაპირისპირებას, აღმოსავლეთის მომავალს. მისი ხედვები აქტუალური და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში, ვიზიონერულია.

14. ტოინბი, არნოლდ., ,, დასავლეთი და მსოფლიო''.[10] უნივერსიტეტი 1953

Arold J.Toynbee ,,The World and the West ''Oxford University Press 1953

არმოლდ ტოინბის მიერ გამოქვეყნებულ ამ ნაშრომს ხანგრძლივი და დაძაბული დისკუსია მოჰყვა დასავლეთში, ზოგადად, ტოინბის ხედვები და მემკვიდრეობა, როგორც ბრიტანული იმპერიის პოლიტიკაში ღრმად ჩახედული პრაქტიკოსისა და დიდი მოაზროვნისა, დღესაც უაღრესად აქტუალურია.

15. პლატონი. ,, სახელმწიფო''

როგორც ინგლისელი ფილოსოფოსი უაიტჰედი ამბობდა, პლატონი არის წიგნი , ხოლო მთელი დანარჩენი ფილოსოფოსები ამ წიგნის სქოლიოები. მიუხედავად უაითჰედის ამ ცნობილი შეფასების ერთგვარი ჰიპერბოლიზებული ხასიათისა, უნდა ითქვას, რომ პლატონის მიერ შემუშავებული სახელმწიფოს კონცეფცია, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, არასოდეს კარგავს ღირებულებას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

წინამდებარე დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

დისერტაციის შესავალში გადმოცემულია თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემა, თემის მიზნები და ამოცანები, საკვლევი კითხვები, თემის ჰიპოთეზა, კვლევის საგანი და ობიექტი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული საფუძვლები, კვლევის მეთოდები, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებები და მოვახდინეთ მათი კრიტიკული ანალიზი. წარმოდგენილი იქნა კლასიკური გეოპოლიტიკის ახლებური ხედვები და აშშ-ს, როგორც გეოპოლიტიკური ფენომენის თავისებურება კლასიკური გეოპოლიტიკის ჩვენს მიერ შემუშავებული ახლებური ხედვების ჭრილში.

მეორე თავი მიეძღვნა ციფრული ტექნოლოგიების მიმართებას კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებებთან, ზღვისა და ხმელეთის დიქოტომიას და კიბერგეოპოლიტიკას, ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს, მათი წარმოშობის ისტორიას და როლს თანამედროვე გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. ამავე ასპექტშია განხილული გლობალური ფინანსური სისტემისა და გეოპოლიტიკური დიქოტომიის ურთიერთდამოკიდებულება.

მესამე თავში განვიხილეთ საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის კანონზომიერებები, საქართველოს სახელმწიფოს ისტორიასთან მიმართებაში, კავკასიის გეოგრაფიული თავისებურებები, რეგიონალური სახელმწიფოების გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნები და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია სწორი გეოპოლიტიკური პოზიციონირების გარეშე.

დასკვნა

ჩვენს მიერ დასმულ საკვლევ კითხვაზე-რამდენად რელევანტურნი არიან კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითადი დებულებები დღევანდელ გლობალურ სამყაროში? პასუხი ასეთია: კლასიკური გეოპოლიტიკის ძირითადი დებულება საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციების, თელუროკრატიისა და თალასოკრატიის შესახებ რელევანტურია დღესაც. პლანეტაზე გეოგრაფიული თეთრი ლაქების გაქრობის, სატრანსპორტო, საფინანსო, ეკონომიკური საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ძალაში შევიდა გლობალური ფუნდამენტური დუალიზმი.

მსოფლიოს ყველა სუბიექტის ძალის ვექტორი, განურჩევლად მათი ძალის, სიდიდის და მიმართულებისა, გლობალური პროცესების აპოგეის დროს მიისწრაფვის დავიდეს ორ საპირისპირო ჯამურ ძალაზე. მისი საფუძველია ძირეული სახმელეთო და საზღვაო ურთიერთდაპირისპირებული ძალები. მესამე, სხვა "ნეიტრალური" ძალა შეიძლება არსებობდეს დროებით ამ ორი ძირითადი ძალის ჭიდილის პირობებში, რომელიც იმოქმედებს შედეგიდან გამომდინარე. რადგან ეს ორი დუალისტური ძალა ყველაზე ძირეულია და პირველადი, ამიტომ სხვა წინაღმდეგობრივი ფაქტორები და ძალები, ისეთები როგორიც არის იდეოლოგია, ეთნოსი, რასა, რელიგია, კულტურა, ტექნოლოგიები, საფინანსო სისტემა, საიდუმლო საზოგადოებები და სხვა, ზემოთ აღნიშნულთან შედარებით მეორეული და მესამეულია. ისინი გადამწყვეტი გლობალური მოვლენების დროს დაიყვანება ზემოთ აღნიშნულ ორ მთავარ -სახმელეთო და საზღვაო ძალამდე. იდეოლოგიას, ეთნოსს, რასას, რელიგიას, კულტურას და სხვა ფაქტორებს მათი ძირეულობის თვალსაზრისით დროის ფაქტორიდან და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ,,ცვლადი" იერარქიული განლაგება აქვს.

დღევანდელი ვითარება კლასიკური გეოპოლიტიკის და ჩვენს მიერ შემუშავებული ახლებური ხედვების ნათელი დადასტურებაა- როგორც ვამბობდით, მიმდინარეობს ზღვისა და ხმელეთის ცივილიზაციების კონსოლიდაციის პროცესი და ამ პროცესს აქვს ორპოლუსიანობისაკენ სვლის ტენდენცია. აქ უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაციის

აღსაწერად აუცილებლად მოგვაჩნია ჩვენს მიერ შემუშავებული ბალანსი-მდგომარეობის კატეგორიების გამოყენება,

ბალანსი-მდგომარეობის კატეგორიები შეიძლება იყოს ლოკალური და გლობალური. გლობალური ბალანსი-მდგომარეობა თავის მხრივ შეიძლება იყოს სამ-ცვლად, მყარ და ქაოსურ ფაზაში. დღეს ჩვენ ვიმყოფებით ცვლადიდან ქაოსურ ფაზაში გარდამავალ საფეხურზე.

ჩვენი შეხედულებით, რომელიც დავასაბუთეთ ნაშრომში, გლობალურ ბალანსში სახმელეთო და საზღვაო ცივილიზაციების განუწყვეტელი დაპირისპირების პირობებში სამუდამო გამარჯვებული ვერ იარსებებს.

რომელიმე ცივილიზაციის ერთპიროვნული გამარჯვება ბრძოლაში დროებითია და გამოიწვევს საპირისპირო ცივილიზაციის კონსოლიდაციას პარიტეტის დასამყარებლად.

ამიტომ ქაოტური ფაზა, თუ ამან არ გამოიწვია ცივილიზაციის სრული განადგურება, გადავა ახალ მყარ ბალანს-მდგომარეობაში, ახალი ვესტფალიის თუ პოტსდამის ზავით, ძალთა ახალი კონფიგურაციით, რომელიც კვლავ ფუნდამენტური დუალიზმის კანონზე იქნება აგებული.

საკვლევ კითხვაზე- როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა გეოპოლიტიკასა და გლობალურ საფინანსო სისტემას შორის? ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ „მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ,,სახმელეთო ცივილიზაციის“ კონსოლიდაცია, ნეოლიბერალური მოდელის შესაძლებლობების ამოწურვა მსოფლიოს ახალი გლობალური ფინანსური არქიტექტურის სისტემის აუცილებლობის წინაშე აყენებს. ეს კი უკიდურესად კონსერვატიული პროცესია, რაც განპირობებულია როგორც სარეზერვო აქტივის სოციალური ნდობის ინერციით, ასევე ახალი მოდელის შექმნის სირთულეებით, რაც, ნათლად ჩანს ბრიქსში შემავალი ქვეყნების პოზიციების განსხვავებებით, ტრადიციული გეოპოლიტიკური აქტორების მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციების პრიმატითა და ისტორიულად ჩამოყალიბებული წინააღმდეგობებით. სწორედ ეს

ფაქტორები აძლევს აშშ-ს შესაძლებლობას შეინარჩუნოს ფინანსური ძალაუფლება“.

კვლევამ თვალსაჩინო გახადა პასუხები საკვლევ კითხვებზე-რა მიმართებები არსებობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებებს შორის? რა როლს თამაშობენ თანამედროვე გეოპოლიტიკურ პროცესებში გლობალური მედია და სოციალური ქსელები?

კერძოდ- გეოპოლიტიკური პროცესის შინაარსი არის გეოპოლიტიკური სივრცეების ძალისმიერი და იდეოლოგიურ-ინფორმაციული ან შერეული გაერთიანება. ამ ორიდან ატომური იარაღის გამოგონებამდე დომინირებდა შიშველი ძალა, ხოლო გარანტირებული ურთიერთგანადგურების საფრთხის გამო წინა პლანზე გამოვიდა იდეოლოგიურ-ინფორმაციული მეთოდი გეოპოლიტიკური სივრცეების გლობალური მასშტაბით გასაერთიანებლად. გარკვეულ პირობებში მათი ორ მთავარ ძალამდე დაყვანა ხდება შესაბამისი იერარქიის მიხედვით. ყოველივე ზემოთქმული გეოპოლიტიკური კანონზომიერების სახეს ატარებს. აქედან კი შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: **მსოფლიოს ერთპიროვნული ფლობა-ბატონობა შეუძლებელია. ანუ მსოფლიოს საყოველთაო, სრული გეოპოლიტიკური გლობალიზაცია შეუძლებელია ან შესაძლებელია მაქსიმუმ ორამდე** (აქ იგულისხმება გეოპოლიტიკური სივრცის კონტროლი, ანუ სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური სიმძლავრის გავრცელების საზღვრებით შექმნილი სივრცის კონტროლი).

ინდუსტრიული რევოლუციიდან და დღემდე ჩვენ თვალს ვადევნებთ გლობალური საზღვაო იმპერიების პლანეტარული დომინირებისაკენ სწრაფვას. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ტექნიკური მიღწევა, დაწყებული ტყვიამფრქვევითა და თვითმფრინავით- დამთავრებული კონვეირით, ავიამზიდითა და ატომური ბომბით- პირველად სწორედ იმ სამყაროში დაინერგა, რომელსაც დღეს ჩვენ ანგლო-საქსურს ვეძახით და რომელიც ჩვენს თვალწინ

ერთიანდება სწორედ მათი საზღვაო ცივილიზაციის კოდისადმი კუთვნილების ნიშნით ,,აუკუსის'' ბლოკში.

,,ზღვა'' ცდილობს გააერთიანოს გეოპოლიტიკური სივრცეები აუკუსის ბლოკში და მისი მეშვეობით გააძლიეროს ანაკონდას რკალი უკვე მთელი ევრაზიის გარშემო. ასევე არ დაუშვას შიდსა ინტეგრაცია ევრაზიაში, რომელიც მის კონტროლს არ იქნება დაქვემდებარებული-ამისთვის გამოიყენება სამხედრო-პოლიტიკური, იდეოლოგიური და ფინანსური საშუალებები, რომლებიც ერთიან მეტატექნოლოგიურ მეთოდებშია გაერთიანებული.

,,ხმელეთი'' აკეთებს ზუსტად საწინააღმდეგოს-ის ცდილობს გაარღვიოს ,,ანაკონდას რკალი,'' განავითაროს შიდა ინტეგრაციული პროცესები(მაგალითად აბრეშუმის გზა) ,,მსოფლიო კუნძულის'' შიგნით და გააძლიეროს თანამშრომლობა ბრიკსისა და შოსის ფორმატში.

ამ დაპირისპირების ცხელი ფაზა აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, უკრაინაშია, როგორც ჯერ კიდევ საუკუნის წინ წინასწარმეტყველებდა მაკინდერი და იმეორებდნენ სხვა დასავლელი გეოპოლიტიკოსები სფაიქმენი, ბზეჟინსკი, კისინჯერი თუ სხვები.

როგორც ჩვენი ნაშრომის მეორე თავში დავასაბუთეთ, სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა -განვითარება, რომელმაც თვისობრივად ახალ, ვირტუალურ-ფსიქოლოგიურ გამზომილებაში გადაიყვანა ზღვისა და ხმელეთის გლობალური დაპირისპირების პროცესი. ამავე დროს გლობალური მასშტაბები მიიღო გეოპოლიტიკური მოთამაშეების მხრიდან სასურველი ფსიქოლოგიური განწყობების შექმნის ტექნოლოგიების გამოყენებამ ე.წ. Big data-ს გამოყენებით, რომელსაც ციფრული ეპოქის ახალ ნავთობს უწოდებენ. სოციალურმა ქსელებმა მიიღო მკვეთრად გამოხატული გეოპოლიტიკური იარაღის სახე, არაბული გაზაფხული, მოვლენები მიანმაში, რუსულ -ამერიკული, ჩინურ -ამერიკული, ჩინურ-ინდური და ბოლოს, დღეს მიმდინარე უკრაინის ომში სოციალური ქსელების როლი სოციალური ქსელების იარაღად გადაქცევის პროცესის ნათელი მაგალითებია. ამასთან მათში ზუსტად

აისახება გეოპოლიტიკური ძალების განლაგება. იდეოლოგიური ბრძოლა აქ განსაკუთრებით თვალშისაცემია. ,,იდენტობების პოლიტიკის'' კრიტიკა და ადამიანთა უფლებებისთვის ბრძოლის მოტივით კიბერდისიდენტებისა და არასამთავრობოების მხარდაჭერა, რაც მიმდინარეობს სოციალური მედიის სრული თავისუფლების ეგიდის ქვეშ, სხვა არაფერია, თუ არა ნეოლიბერალიზმი, რომელმაც ახალი კიბერნეტიზმის სახე მიიღო და ტრადიციული გეოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც აკრძალვებით ცდილობენ მათთვის არასასურველი გავლენებისგან თავდაცვას, ხოლო მათგან ყველაზე ძლიერი- ჩინეთი თვითონ ცდილობს გადავიდეს ექსპანსიაზე და საკუთარ მოედანზე დაამარცხოს მოწინააღმდეგე, მაგალითად ყველაზე სწრაფად გავრცელებადი სოციალური ქსელის tik-tok-ის გამოყენებით, რომლის წინააღმდეგაც, ჯერ ტრამპის ადმინისტრაციამ შეზღუდვები დააწესა, ხოლო შემდეგ იგივე პოლიტიკის გატარება ბაიდენის ადმინისტრაციასაც მოუწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესებმა რომლებიც აშშ-ში განვითარდა, კერძოდ, უპრეცედენტო აკრძალვებმა მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, აშკარად გამოხატულმა ტენდენციურობამ და ინფორმაციის გავრცელების აკრძალვებმა ე.წ. პანდემიის დროს საზოგადოებას დაანახა სოციალური ქსელების ტოტალურ ფსიქოტრონულ იარაღად გადაქცევის მეტად საშიში პროცესი.

გლობალური სოციალური ქსელები არის პლატფორმები, რომელშიც კონცენტრირებულია კაცობრიობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილის მთელი ყურადღება.

ჰელფორდ მაკინდერის ცნობილი ფორმულის არ იყოს, შეიძლება თამამად ითქვას, **რომ ის, ვინც ფლობს სოციალურ ქსელებს, ფლობს და მართავს ადამიანების ყურადღებას, ხოლო ის, ვინც ფლობს და მართავს ადამიანების ყურადღებას, ფლობს და მართავს მსოფლიოს.**

,,აუკუსი'' აქ შემთხვევით არ გვიხსენებია. თავის დროზე მაშინდელი ოიკუმენისთვის მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პუნიკურ ომებში კართაგენის საზღვაო ცივილიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახმელეთო ცივილიზაცია-რომი

-იძულებული გახდა შეექმნა საბრძოლო ფლოტი, რამაც მას, საბოლოო ჯამში, გამარჯვება მოუტანა.

ჩინეთმა, რომელმაც მინის დინასტიის დროს უარი თქვა საზღვაო ძლიერებაზე, შედეგად კაცობრიობის ისტორიაში პირველი გლობალური საზღვაო იმპერიის, ბრიტანეთის მიერ უმძიმესი დარტყმები მიიღო, რამაც მის არსებობასაც კი შეუქმნა საფრთხე.

დღეს ის, როგორც თავის დროზე რომი, ანგლო-საქსების საზღვაო ძლიერების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რომელიც თავის დროზე საკუთარი კოდის შესანარჩუნებლად დათმო. ამავე დროს, სახეზე გვაქვს სტალინი -მაოს კავშირის მსგავსი ალიანსის კონტურები დასუსტებულ რუსეთთან, რომელიც უკვე უმცროსი ძმის როლშია.

ამ კონტექსტშია განსახილველი ჩინეთის მმართველი ელიტის მიერ დასავლური პარადიგმის გადალახვა, რაც სი ძინპინისათვის იმპერატორის დონის ძალაუფლების გადაცემაში გამოიხატა, ასევე ჩინეთის მიერ რუსეთთან, ირანთან და არაბულ სამყაროსთან, აფრიკასთან და ლათინურ ამერიკასთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯები.

ეს ისტორიული რევანში შეიძლება ტაივანში დაიწყოს. ისევე როგორც უკრაინას, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციების ჭიდილში, რადგან ,,გარე ნახევარმთვარის'' საკვანძო არეალს წარმოადგენს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და ასრულებს დაახლოებით ისეთ როლს, როგორსაც ასრულებდა სიცილია პუნიკურ ომებში. -იგი ამ გრანდიოზული გეოპოლიტიკური ბრძოლის ცენტრალური ადგილია.

საკვლევ კითხვაში- როგორია ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკური თავისებურებები? - სხვა ქვეყნებთან ერთად ვრცლად განვიხილეთ აშშ-ს თურქეთის და საქართველოს მაგალითები, წამოვაყენეთ და ისტორიულ ჭრილში დავასაბუთეთ ჰიპოთეზა აშშ-ს ორმაგი გეოპოლიტიკური ბუნების შესახებ. კერძოდ, აშშ-ის იმპერიის, როგორც გეოპოლიტიკური სუბიექტის, შესწავლამ ანუ, აშშ-ის ისტორიის გეოპოლიტიკურმა ანალიზმა კლასიკური გეოპოლიტიკის

ახლებური ხედვის საფუძველზე გამოაჩინა, რომ აშშ, როგორც სახელმწიფო, გეოპოლიტიკურად განსაკუთრებულია და გამონაკლისი. მისი გეოგრაფიული მდებარეობა დედამიწაზე გეოპოლიტიკურად უნიკალურია, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს გააჩნია როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ცივილიზაციის ნიშნები (აქ მხედველობაში არა გვაქვს შიდა ნახევარმთვარეს არეალში მოქცეული ქვეყნები, რომლებსაც ორივე მიმართულებით აქვთ მიდრეკილება, მაგალითად, იტალია, ესპანეთი და სხვა; არის სახელმწიფოები, მაგალითად ჩინეთი, რომლის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი მოქცეულია "შუაგულ მიწაზე", ხოლო სამხრეთი ნაწილი _"სანაპირო ზონაში", თუმცა ჩინეთი სახმელეთო იმპერიაა). აშშ-ის იმპერია ორი კლასიკური არსის-ცივილიზაციის ერთდროული მატარებელია. ის არის საზღვაო ცივილიზაციის მატარებელი (მდებარეობს "გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარეს" ტერიტორიაზე), ამასთან იმავდროულად არის სახმელეთო ცივილიზაციის მატარებელი (ანუ მდებარეობს დედამიწის პერიფერიაში) და არის აღმოსავლეთის სახელმწიფო, როგორც ევრაზიის გაგრძელება (აშშ-კანადის ტერიტორია არის ციმბირის ტყეებისა დასტეპების გაგრძელება). შესაბამისად აშშ-ის ტერიტორია პარალელურად არის საზღვაო და სახმელეთო იმპერია. აშშ-მა თავისი ისტორიის პირველი ნაწილი გაიარა, როგორც სახმელეთო იმპერიამ, მეორე ნაწილი კი -როგორც საზღვაო იმპერიამ, რაც დღემდე გრძელდება.

თურქეთთან მიმართებაში გამოვიტანეთ დასკვნა, რომლის მიხედვით სახელმწიფოებრივი მოდელის ეფექტურობის მიუხედავად, დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ასევე მისი განვითარების პერსპექტივაში - იმ გეოპოლიტიკურ, მსოფლიო კუნძულის საგზაჯვარედინო ადგილას სადაც თურქეთი მდებარეობს – მისი არსებული პარამეტრები (ძირითადად ტერიტორია, მოსახლეობა და რესურსები) და პოტენციალი ვერ პასუხობს ამ ადგილის გეოპოლიტიკურ კონიქტიურას. არსებულ და პერსპექტიულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, მსოფლიო კუნძულის ამ გზაჯვარედინზე არსებობისათვის, ოპტიმალურია და პასუხობს ფრაგმენტული (უფრო მცირე), ან პირიქით უფრო გაზრდილი პოტენციური შესაძლებლობის მქონე სახელმწიფო, ვიდრე თურქეთია.

აქედან მოდის მისი სწრაფვა იმპერიის აღდგენისაკენ - გაფართოებისაკენ, რადგან აქ მდებარე მცირე პოტენციური შესაძლებლობის მქონე ქვეყნები ავტომატურად გადანაწილდება მსოფლიოს მრავალპოლუსიან მოწყობაში, რომელიმე ზესახელმწიფო-პოლუსის არეალში (გლობალურ მსოფლიოში ეს ადგილი ზესახელმწიფოების გადანაწილების არეალია). რადგან ასეთი დიდი, შედარებითი დამოუკიდებლობის პოტენციის მქონე ერთეული არც რუსეთს სჭირდება და არც აშშ-ს, მითუმეტეს ევროკავშირს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს ის. არსებულ და პერსპექტიულ, ფრაგმენტაციისაკენ მიმართულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, თურქეთი ამ ტერიტორიით გაუძლებდა დაშლას (ან ალბათობის შანსი მეტი ექნებოდა) თუ თურქეთის ქურთისტანი (თავის სამეზობლო, ირანის, ერაყის და სირიის ქურთისტანებით მხარდაჭერილი), თურქეთის მოსახლეობის მეხუთედი არ იქნებოდა, ამასთან კომპაქტურად დასახლებული თურქეთის ლამის მეოთხედ ტერიტორიაზე. რაც რეალობაა და გარდაუვალობა. გეოპოლიტიკური ქურთული დეტონატორი ამუშავებულია და მისი გაჩერება შეუძლებელია.

განვიხილეთ და დავასაბუთეთ საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის საფუძვლები და ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური თავისებურებები.

შემოვიტანეთ საქართველოს გეოპოლიტიკის ძალისხმევის ვექტორების ცნება.

სწორედ ამ კონტექსტში არის განხილული სამხრეთ კავკასიაში და ჩვენი ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და პასუხი ჩვენს საკვლევ **კითხვაზე-როგორია საქართველოს გეოპოლიტიკური კოდი?**

კერძოდ, სამხრეთ კავკასია არის უმნიშვნელოვანესი რგოლი შიდა ევრაზიული ინტეგრაციული პროცესებისათვის, კერძოდ, ის არის აღმოსავლეთ -დასავლეთისა და ჩრდილო-სამხრეთის სატრანზიტო კვანძი.

იმ შემთხვევაში, თუ ჩინური, რუსული, ინდური და ირანული ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, უნდა ველოდოთ მათ მიერ ინსპირირებულ პოლიტიკურ პროცესებს.

ამავე დროს, ანგლო-საქსები გააკეთებენ ყველაფერს, რათა არ დაუშვან ისეთი სატრანსპორტო კორიდორების გახსნა -განვითარება, რომლებიც მათ მიერ არ იქნება კონტროლირებული.

ამ რაკურსით, საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

კერძოდ: **საქართველოს სახელმწიფოს ლოკალური გეოპოლიტიკური მიზანია მუდმივად მისი ძალისხმევის ვექტორები მიმართული იყოს შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროების გასწვრივ, ხოლო მცხეთა-თბილისის არეალი განუწყვეტლივ აფართოოს. ასევე მიმართოს ძალისხმევის ვექტორი ტაო-კლარჯეთის მიმართულებით.** მხოლოდ ასე შეუძლია საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურად "დამაგრდეს" დედამიწის ამ ურთულეს გზაჯვარედინზე.

ეს ჩვენი სახელმწიფოს მუდმივი ინტერესებია. აქედანვე გამოდის დასკვნა: **თბილისი-ფოთის ღერძი განაპირობებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობას.**

სწორედ ამ გეოპოლიტიკურ მოცემულობებს უნდა ითვალისწინებდეს და ემყარებოდეს ქართული სახელმწიფოს განვითარების მიზანი და მომავალი, რომელიც დამოკიდებულია რეგიონალურ და გლობალურ გეოპოლიტიკაში მართებული ორიენტაციის აღებაზე.

ლოკალური გეოპოლიტიკის თეორიითაც საქართველოს სახელმწიფოს ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ადგილზე დამაგრებას განაპირობებს თბილისი-ფოთის ღერძი. მისი დამოკლება ქუთაისი-ფოთამდე განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლის შესუსტებას და სტრატეგიული ცენტრის -თბილისის მოშლას. ანუ მთელ კავკასიაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის შესუსტებას და პერსპექტივაში აღმოსავლეთ საქართველოს (ან მისი ნაწილის) დაკარგვას.

ხმელეთისა და ზღვის ცივილიზაციების გლობალური დაპირისპირების პირობებში საქართველოს, სწორი გათვლების შემთხვევაში, შეუძლია აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, რადგან სეპარატული რეგიონების ინტერესები და

მათი ლობი, ისევე როგორც მათი აღიარების უკან გამოთხოვის პოლიტიკური შედეგები რუსეთის ფედერაციისთვის გაცილებით მცირეა ევრაზიული ინტეგრაციის დივიდენდებთან შედარებით, რასაც მისი გლობალურ დასავლეთთან დაპირისპირების მდგომარეობაში ეგზისტენციალური ხასიათი აქვს.

ამავე დროს, ევრაზიული ინტეგრაციული პროცესების ბარიერად გადაქცევისა და აქტიური ხელისშეშლის პოლიტიკა ატარებს რისკს, რომ რეგიონალურმა აქტორებმა ხელი შეუწყონ დეზინტეგრაციულ პროცესებს საქართველოში, რისი სამხედრო -პოლიტიკური, ეთნო-რელიგიური და ეკონომიკური ბერკეტების ნაკლებობას არ განიცდიან.

ასეთი რისკის თუნდაც ნაწილობრივი გადაზღვევის შესაძლებლობა აშშ-სა და ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერისა და დაცვის იმედით არარაციონალურად მოგვაჩნია-სახეზე გვაქვს თუნდაც უკრაინის მაგალითი.

სწორედ ეს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი პოლიტიკის წარმოებისას თუმცა სიფრთხილითა და წინდახედულებით, რადგან გეოპოლიტიკური კალეიდოსკოპი, მართალია, დასაზღვრულია ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კანონზომიერებებით, მაგრამ ის, თუ როგორ დალაგდება მისი კონფიგურაცია გეოპოლიტიკური ფლუქტუაციის პირობებში, რთული დასადგენია ადამიანის გონებისთვის.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ინტეგრაციის იდეა საერთო ინტერესების დაცვის მიზნით,რის შესახებაც კონცეპტუალური სტატია აზერბაიჯანულ 2021წლის 8 ნოემბერს haqqin.az -ში გამოაქვეყნა ბატონმა ირაკლი გოგავამ.

ეს კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა სომხეთის მიერ ყარაბაღის აზერბაიჯანის კუთვნილ ტერიტორიად აღიარების შემდეგ.

ამრიგად ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობა, რომ **სტრატეგიები, რომლებიც დამუშავებულ იქნენ კლასიკური გეოპოლიტიკის**

ფუძემდებლების მიერ და რომლებიც ასახავდნენ მათი თანამედროვე იმპერიების მოქმედებათა ალგორითმებს, ძირითადად არ იცვლება, რადგანაც არ შეცვლილან გეოპოლიტიკური სუბიექტები, მათი ინტერესები და გეოგრაფიული გარემო. ამავე დროს მსოფლიო დომინირებისთვის ბრძოლას ახლებური ხასიათი მისცა ახალმა, ციფრული განზომილების ათვისებამ, მეცნიერულ -ტექნიკურმა პროგრესმა, გლობალური საბანკო-საფინანსო სისტემის, მედიის და სოციალური ქსელების ჩამოყალიბებამ, თუმცა მათ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებთან მიმართებაში ცვლადი, იერარქიულად დაქვემდებარებული ადგილი ენიჭებათ.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი N 1-კლასიკური გეოპოლიტიკა და თანამედროვე მსოფლიო -თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები
2. კოლოქვიუმი N2 – კლასიკური გეოპოლიტიკა და ციფრული ტექნოლოგიები
3. კოლოქვიუმი N3 - საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკა

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს

და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

1. გეოგრაფიული დეტერმინიზმის გავლენა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. მანჯავიძე ი., ჟურნალი "პოლიტოლოგოსი", "ანაკონდას მარყუჟის თანამედროვე ვარიაციები", N3, თბილისი, 2021.
2. მანჯავიძე ი., ჟურნალი ,,პოლიტოლოგოსი'' ,,გლობალური საზღვაო ცივილიზაცია და ინდუსტრიული რევოლუცია-გავლენა თანამედროვე გეოპოლიტიკაზე'', N5, თბილისი, 1922
3. Ioseb manjavidze,. Tamar Kiknadze The Paradox of the Ming Dynasty – the Result of the Abandonment of Sea Power", International Journal of Business Diplomacy and Economy, Vol.2 No 8 (2023), IJBDE-ISSN 2833-7468.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. მანჯავიძე ი., ,,თურქეთის იმპერიის აღდგენის გეოპოლიტიკური პერსპექტივები''.The proceedings of sixth international conferences on Ceorgia-Iran Political, Economic and Cultural Relations, თბილისი, 2022კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.საქართველოსა და ირანის პოლიტოკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობების VI საერთაშორისო კონფერეცია.

Caucasus International University

Copyright of the manuscript

Ioseb Manjavidze

Patterns of classical geopolitics and

modern world

of Political Science Ph.D

Presented to obtain an academic degree

Autoabstract

Tbilisi, 0141, Georgia

2023

Annotation

The modern global world, when technological development has reached unprecedented proportions, non-state actors such as global corporatocracy and social networks have sprung up alongside traditional states - the question naturally arises as to how adequate the description of modern world processes is in terms of classical geopolitics and how states are guided by the strategies developed in geopolitical schools. The essence of geopolitics is mainly the management and control of space, obviously, today the control of space is diversified due to the development of technologies and the growing interdependence of the world. (In particular, it can no longer be considered only in the context of military-political control).

Because of this, space control takes on completely new, transnational and conceptual forms of management, such as financial-economic, informational or mixed control and management, which facilitates the process of civilization's assimilation of a new dimension of space.

Despite all of the above, the fundamental patterns of classical geopolitics do not change. Nor does the practice of using the strategies developed by states in classical geopolitics change.

In our study we will show, that according to the geopolitical schemes developed by Halford Mackinder, Alfred Mahan, Nikolas John Spykman, huge human and financial resources are allocated. So that the principles do not change, but their technological refinement and adaptation to modern realities takes place. This will help us to develop more adequate guidelines to clarify the geopolitical vicissitudes, which is not only of cognitive importance, but also vital for the correct geopolitical positioning of our country. At the same time, we have developed a number of new visions that represent scientific innovation and, in our opinion, contain the potential for practical application.